პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 დეკემბერი, შაბათი, 1988 წ.
№ 250 (9917) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

XII

## თვის მონაგარი

# მარგალიტით დამშვენებული გვირგვინი

**წლეულს** ამ რუბრიკით წერილების გამოქვეყნება ჩვენთვის მეტად სასიამოვნო და სახალისო იყო. რატომაც არა, საქართველოს სპორტსმენები ყოველთვიურად მეტნაკლებად გვახარებდნენ. მათ თავი გამოიჩინეს საკავშირო, ევროპისა და მსოფლიო პირველობებშიც, ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული მედლები კი წლევანდელი სპორტული სეზონის ჭეშმარიტი გვირგვინი გახლდათ. ეს გვირგვინი დეკემბერში კიდევ ერთი დიდი მარგალიტით დამშვენდა და გალამაზდა.

საუბარია ბელგიაში გამართულ აკრობატთა მსოფლიო ჩემპიონატზე თბილისელების ინგა გიორგობიანის, ნატალია ანისიმოვასა და სვეტლანა მაკარიჩევას მიერ მოპოვებულ ოქროს მედლებზე. ისინი ანტვერპენის სარბიელზე ჩემპიონები გახდნენ პირველ და მეორე ვარჯიშში, გუნდურშიც და აბსოლუტურშიც.

ამ შეჯიბრების პარალელურად ევროპის ჩემპიონატიც მიმდინარეობდა, ჩვენმა სპორტსმენებმა იქაც ანალოგიური წარმატება იზეიმეს და საბოლოო ჯამში მათ ერთბაშად რვა ოქროს მედალი დაიმსახურეს, რაც უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ.

დეკემბერში კვლავ გაგვახარეს ჩვენმა ძიუდოისტებმა—მარტყოფელმა ამირან ტოტიკაშვილმა და გორელმა კობა კურტანიძემ. მათ თბილისში გამართულ სტუდენტ ძიუდოისტთა X მსოფლიო ჩემპიონატზე პირად პირველობაშიც გაიმარჯვეს და გუნდურშიც.

სოსნოვი ბორში (ლენინგრადის ოლქი), ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირზე, ბადალი არ ჰყავდა ვანელ გ. ტაბიძეს, რომელმაც ექვსი შეხვედრა ჩაატარა და ექვსივე წმინდად მოიგო.

სოხუმელი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ბ. ქარდავა და გ. გოგიაშვილი გამარჯვებით დაგვიბრუნდნენ მოსკოვში გამართულ საკავშირო ტურნირიდან, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის ა. პოკრიშკინის ხსოვნას მიეძღვნა.

დეკემბერში თბილისი მასპინძლობდა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზზე გამართულ ჭაბუკ მოკრივეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ჩვენმა სპორტსმენებმა ოთხი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

საქართველოს სპორტსმენთაგან გამარჯვებულთა შორის ვიხილეთ: ა. გევორქიანი, ვ. აბასოვი, ა. ბურდიანცი და ა. კაკაურიძე. მეორე იყო დ. ავდალიანი, ხოლო მესამე — კ. ჩიქვინიძე.

ტაშკენტში გამართულ მოჭადრაკე ქალთა V ტრადიციულ ტურნირში, რომელიც უზბეკეთის სპორტსახკომის პრიზზე გაიმართა, ორი საერთაშორისო ოსტატი და შვიდი სპორტის ოსტატი გამოდიოდა. მათთან ბრძოლაში თბილისელმა ქეთევან კახიანმა პირველი ადგილი დაიკავა.

საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატებმა სპორტული სეზონი დაამთავრეს მინსკში, სადაც საკავშირო თასის გათამაშება გაიმართა. აქ თბილისელებმა ხრისტინა ფალასანიდიმ, ნინო მაისურაძემ, ეკა ასათიანმა, ტატიანა გუტიაკულოვამ, მაია მელაძემ, იანა ალავიძემ, ქუთაისელებმა მანანა ჩანქსელიანმა და ელისო მარგველაშვილმა ჯგუფურ ასპარეზობაში მესამე ადგილი დაიკავეს. (ეს ცნობა დღეს ქვეყნდება ჩვენს გაზეთში).

ჩვენი სპორტსმენების „თვის მონაგარი" დააგვირგვინა თბილისელმა ნინო სალუქვაძემ, რომელმაც ლენინგრადში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში პნევმატური იარაღით სროლაში (33-2), რომელიც ახალი წესებით (შემცირებულ სამიზნეებზე) ჩატარდა, საკავშირო თასი მოიპოვა, ხოლო „ძველ ვარჯიშში" მეორე იყო.

## სპორტული წლის ლაურეატები

# ნინო სალუქვაძე მკითხველთა რეფერენდუმის ლაურეატი

**გაზეთ** „სოვეტსკი პატრიოტის" რედაქცია ტრადიციულად ატარებს მკითხველთა რეფერენდუმს, რომლის მიზანია გამოავლინოს წლის საუკეთესო სპორტსმენი ტექნიკურ სახეობებში. წლევანდელ ანკეტაშიც მონაწილეობა მიიღო ამ გაზეთის ბევრმა მკითხველმა. ლაურეატებს ასახელებდნენ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სპორტის მოყვარულები, მკითხველები შუა აზიიდან, ბალტიისპირეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, რუსეთის ფედერაციის ქალაქებიდან...

ხმების აბსოლუტური უმრავლესობით პირველი ადგილი და წლის საუკეთესო სპორტსმენის სახელი მიეკუთვნა ჩვენს თანამემამულეს, სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონსა და ვერცხლის პრიზიორს ტყვიის სროლაში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნინო სალუქვაძეს.

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: გროდნოელი ირინა შილოვა (ტყვიის სროლა), რიგელი აფანასი კუზმინი (ტყვის სროლა), კრასნოდარსკელი იური ივანოვი (მოტორბოლი ყინულზე), ნოვოსიბირსკელი ალექსანდრე კალმიკოვი (ავტოსამოდელო სპორტი), ოლეგ ფურსა (ბელაია ცერკოვი, სპორტული რადიოპელენგაცია), მოსკოველი ვასილი პაჩკორია (გემთსამოდელო სპორტი), რიგელი სვეტლანა პოდოროგა (წყალქვეშა ორიენტირება), კიეველი სვეტლანა უსპენსკაია (ცურვა ლასტებით), მიხეილ ჩერნოვი (ბიისკი, ცურვა ლასტებით).

# დინამოელთა შორის საუკეთესონი

**წლეულს** პირველად ჩატარდა საკავშირო კონკურსი სპორტსაზოგადოება „დინამოს" საუკეთესო სპორტსმენისა და მწვრთნელის გამოსავლენად.

საუკეთესო სპორტსმენთა ათეული, გამოკითხვის შედეგად, ასე გამოიყურება: გინტაუტას უმარისი (ველოსპორტი), სერგეი ხარკოვი, ვალერი ლიუკინი (ორივე — სპორტული ტანვარჯიში), ოლგა ბრიზგინა (მძლეოსნობა), ვიქტორ რენეისკი და ნიკოლაი ჟურავსკის (ორივე — საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე), ანფისა რეზცოვა (თხილამურები), იური ზახარევიჩი (ძალოსნობა), სერგეი ბელოგლაზოვი (თავისუფალი ჭიდაობა), იგორ პოლიანსკი (ცურვა).

საუკეთესო მწვრთნელთა ათეულში პირველ ნომრადაა დასახელებული უმარასის მწვრთნელი ნარსუტის დუმბაუსკასი. შემდეგ მოდიან: ანატოლი ბიშოვეცი (ფეხბურთი), ვიტალი ლომცევი (სპორტული ტანვარჯიში), ვლადიმერ ფედორეცი (მძლეოსნობა), ედეგე იაროვი (სპორტული ტანვარჯიში), ვლადიმერ ლეონოვი (ველოტრეკი), იური მოისეევი (ჰოკეი), ერნესტ ასიევსკი (ფარიკაობა), ვლადიმერ ვლადჩენკო (ხელბურთი) და ანატოლი ბელოგლაზოვი (თავისუფალი ჭიდაობა).

## მშვიდობის ფონდის წვლილი

**სსრ კავშირის** მშვიდობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ანატოლი კარპოვი ამ დღეებში სომხეთს ეწვია და დაათვალიერა მიწისძვრისაგან დაზარალებული ქალაქები ლენინაკანი, სპიტაკი, კიროვაკანი.

კარპოვი მიიღეს სომხეთის კომპარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა ს. არუთინიანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ბატალინმა. აღინიშნა, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მოკავშირე რესპუბლიკებმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა გულთან ახლოს მიიტანეს მოძმე რესპუბლიკის ტრაგედია და აქტიურად მონაწილეობენ მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისთვის, დახმარებას უწევენ დაზარალებულთა ოჯახებს.

მშვიდობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარის განცხადებით ამ ორგანიზაციამ უკვე გამოჰყო 20 მილიონი მანეთი დაზარალებულთა დახმარების მიზნით. ამას გარდა, დამატებით გამოიყო, 15 მილიონი მანეთი კულტურულ-სპორტული კომპლექსების, საავადმყოფოების, სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ასაშენებლად ლენინაკანსა და სპიტაკში.



**თბილისის** 30-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივმა და მოსწავლეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სეულის XXII-ე ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს მაია აზარაშვილს, მიხეილ გიორგაძესა და თამაზ იმნაიშვილს. შეხვედრის მონაწილეებმა დამსწრეთ მოუთხრეს სეულის ოლიმპიადის მსვლელობისა და მათი მონაწილეობის შესახებ, გასცეს მრავალ შეკითხვაზე პასუხები. სკოლის მოსწავლეების ძალებით გაიმართა პატარა კონცერტი.

**სურათზე:** ოლიმპიადის მონაწილეებთან შეხვედრისას.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## წოდების მინიჭება

**საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:**

**სინქრონულ ცურვაში** — ელისო მარგველაშვილს, იანა ალავიძეს, მანანა ჩანქსელიანს (სამივე — თბილისი, პროფკავშირები);

**წყალბურთში** — ვასილ ქართველიშვილს (თბილისი, „დინამო")

## საკავშირო თასის გათამაშება სინქრონულ ცურვაში

# სეზონის ფინიშზე

**წლეულს** ჩვენმა სინქრონული ცურვის ოსტატებმა ყველა შეჯიბრებაში, რომელშიც კი მონაწილეობა მიიღეს, სხვადასხვა საპრიზო ადგილები მოიპოვეს. გამონაკლისი არც სპორტული სეზონის ფინიშზე გამართული საკავშირო თასის გათამაშება იყო.

ამ შეჯიბრებაში, რომელიც მინსკში გაიმართა, ჩვენმა სპორტსმენებმა, თბილისელებმა ხრისტინა ფალასანიდიმ, ნინო მაისურაძემ, ეკა ასათიანმა, ტატიანა გუტიაკულოვამ, მაია მელაძემ, იანა ალავიძემ, ქუთაისელებმა მანანა ჩანქსელიანმა და ელისო მარგველაშვილმა ჯგუფურ ასპარეზობაში წინ მხოლოდ მოსკოვის პირველი და მეორე გუნდები გაუშვეს.

ჩვენ საუკეთესო სპორტსმენთაგან ფალასანიდისაგან და მაისურაძისგან — ერთეულთა და წყვილთა ასპარეზობაში საპრიზო ადგილებს ველოდით, მაგრამ აქ სარბიელზე აღარ გამოვიდნენ.

საქმე ისაა, რომ ისინი მომავალი სტარტებისთვის წყვილთა შორის საასპარეზოდ ახალ პროგრამას ითვისებენ და ამდენად, მინსკში ძალების მოსინჯვა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა რვავე სპორტსმენმა, რომლებიც ჯგუფურ შეჯიბრებაში გამოვიდნენ, ეგრეთწოდებულ სკოლაში თავიანთი საუკეთესო შედეგები გაიუმჯობესეს და ყველამ სპორტის ოსტატის ნორმატივს გადააჭარბა.

ამ შეჯიბრებაში ეს წოდება მხოლოდ გამარჯვებულებს ენიჭებოდათ.



# ემზადებიან საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისათვის

**ჩვენი** „აკადემიური ფლოტილიის" ამა თუ იმ შეჯიბრებისათვის მზადების ციკლი, ტრადიციულად, თბილისში იწყება. ამ დღეებში სანაპიროზე, ბარათაშვილის სახელობის ხიდთან გავლილს იქნებ შეგინიშნავთ კიდეც მტკვარზე მოსრიალე ფერადი ნავები — თბილისის ცენტრალურ სანიჩბოსნო ბაზაზე შეკრებილი საქართველოს აკადემიურ ნიჩბოსანთა ნაკრები IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის ემზადება.



ნიჩბოსნობა, მოგეხსენებათ, სპორტის სტრატეგიულ სახეობათა რიცხვს განეკუთვნება, ასე რომ, კომპლექსურ შეჯიბრებაში ამ სახეობის წარმომადგენელთა გამოსვლა დიდ გავლენას ახდენს რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის საერთო შედეგებზე. ჩვენი ნიჩბოსნები კი, რა დასამალია, ვალში არიან ქართველ გულშემატკივრებთან — ისინი ხომ ძალზე იშვიათად გვახარებენ წარმატებებით. თუმცა, მოდით, საახალწლოდ საყვედურებს მოვერიდოთ და ვისურვოთ, რომ მომავალ ახალგაზრდულ თამაშებში ნიჩბოსნებსაც ეთქვათ თავიანთი სიტყვა.

• • •

**სურათებზე:** საქართველოს აკადემიურ ნიჩბოსანთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრები მტკვარზე ვარჯიშისას; წკრების მწვრთნელი თეიმურაზ შონია და მისი შეგირდები ლელა ხმელიძე და ლია დვალიშვილი.

მ. კიკვაძის (საქინფორმი) ფოტო.

## ნორჩი ტანმოვარჯიშის წარმატება

**წარმატებით** გამოვიდა ხარკოვში გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ხარკოვჩინას" პრიზზე გამართულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირზე თბილისის „დინამოს" სკოლის აღსაზრდელი ეკა ცხადაძე. ამ ტურნირში გამოდიოდნენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრმა, რომელიც საშუალო ასაკობრივ ჯგუფში გამოდიოდა (1974-1975 წლებში დაბადებული სპორტსმენები), მრავალჭიდში მესამე ადგილი დაიკავა, მოაგროვა 73,9 ქულა და მხოლოდ 9,25 ქულით ჩამორჩა გამოცდილ ასტრახანელ და ყაზან ტანმოვარჯიშეებს, რომლებმაც პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს.

სახტუნელათი ვარჯიშში ე. ცხადაძემ 18,8 ქულა მოაგროვა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. (საქინფორმი).

ყურადღება! ინერგება სიახლე, რომელიც სტიმულს მისცემს ადგილებზე ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას

# საქველმოქმედო ორგანიზაცია „რაიონული ყულაბა თელავი-88“

თელავის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება — რაიონული გაზეთის ფურცლებზე

თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი აღნიშნავს, რომ გარდაქმნის, საჯაროობის და დემოკრატიზაციის შემდგომი სრულყოფის პირობებში სულ უფრო ნათლად იკვეთება მოსახლეობის ფართო მასების თავისუფალი შემოქმედებითი, თვითმართველობითი საქმიანობა: იქმნება სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებები და დახმარების ფონდები, რაც ჩვენი საზოგადოების აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით არის განპირობებული.

საზოგადოებრივ-სასარგებლო საკითხთა მოგვარება-გადაჭრას ისახავს მიზნად ახლახანს შექმნილი რუსთაველის საზოგადოების რესპუბლიკური და რაიონული გამგეობები, ახევე კეთილ მიზნებს ემსახურება „მშვიდობის დაცვის“, „ბავშვთა დაცვის“ და სხვა ფონდების შექმნა.

ამ უკანასკნელ ხანებში თელავის საზოგადოებაშიც დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ შეიქმნას საქველმოქმედო ორგანიზაცია „რაიონული ყულაბა თელავი-88“, რაც გარკვეულად შეუწყობს ხელს მოქალაქეთა ხულიერი, ზნეობრივი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას.

რაიონის ინტელიგენციისა და მშრომელი მოსახლეობის მიერ დაზოგილი ფულადი სახსრების გარკვეული ნაწილი ნებაყოფლობით საფუძველზე ერთ ანგარიშზე მოიყრის თავს და, ბუნებრივია, იგი რაიონის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სპორტული ობიექტების, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კერების მშენებლობას და სხვა სოციალურ-კულტურული საკითხების გადაჭრას მოხმარდება.

**თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:**

— მიღებულ იქნეს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის წინადადება და შეიქმნას საქველმოქმედო თვითმმართველი ორგანიზაცია „რაიონული ყულაბა თელავი-88“.

— თელავის შემნახველი ბანკის განყოფილებამ (დ. დემურხანიშვილი) გაუხსნას რაიონულ ორგანიზაციას „ყულაბა თელავი-88“-ის ანგარიშსწორების ანგარიში.

— რაიონულ გაზეთ „ალაზნის განთიადის“ რედაქციამ (დ. აბაშიძე) გაუწიოს ფართო პროპაგანდა აღნიშნულ ორგანიზაციას, პერიოდულად მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია ყულაბის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

— ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის მიზნით დამფუძნებელი კონფერენციის ჩატარება და სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება დაევალოს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს ზ. მაისურაძეს.

— რაისაბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებამ აღმოუჩინოს დახმარება ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტს „რაიონული ყულაბა თელავი-88“ დამფუძნებელი კრების ჩატარებაში.

— დამტკიცდეს საქველმოქმედო ორგანიზაცია „რაიონული ყულაბა თელავი-88“ წარმოდგენილი დებულება.

თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. ბეციაშვილი**,
თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანი **მ. მილორავა**.

საქმით დავამტკიცოთ თელავის სიყვარული!

# საქველმოქმედო ორგანიზაცია „რაიონული ყულაბა თელავი—88“-ის დებულება

## რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია...

### I. მიზანი და ამოცანები

**საქველმოქმედო** ორგანიზაცია „რაიონული ყულაბა თელავი-88“-ის შექმნა მიზნად ისახავს მოსახლეობის ფართო მასების ზნეობრივი სრულყოფის ამოცანების გადაწყვეტას და მოქალაქეთა თავისუფალი შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინებას.

„რაიონული ყულაბა თელავი-88“ თვითმმართველი, იურიდიული უფლების მქონე დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც ნებაყოფლობით პრინციპზე აერთიანებს ცალკეულ პირებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომით კოლექტივებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ხელი შეუწყონ რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ყულაბის ძირითადი მიზანია ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრთა საწევრო შენატანის სახით მოზიდული თანხებით აწარმოოს გამაჯანსაღებელი კერების, ფიზკულტურულ-სპორტული და კულტურული ობიექტების მშენებლობა და სხვა ქველმოქმედებანი.

### II. „რაიონული ყულაბა თელავი-88“-ის წევრები, მათი უფლებები და მოვალეობანი:

**„რაიონული** ყულაბა თელავი-88“-ის წევრი შეიძლება გახდეს რაიონის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ნებისმიერი ასაკის და სქესის მოქალაქე, აგრეთვე, სახელმწიფო დაწესებულებების საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შრომითი კოლექტივები და სხვა, რომლებიც აღიარებენ ორგანიზაციის დებულებას, გადაიხდიან ყოველთვიურად საწევრო შესატანს ერთი მანეთის ოდენობით და აღმოუჩენენ საქველმოქმედო ორგანიზაციას ნებაყოფლობით მატერიალურ, ორგანიზაციულ და სხვა სახის დახმარებას მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. დადგენილი საწევრო შესატანის გარდა, მოქალაქეს უფლება აქვს თავისი სურვილით ჩარიცხოს ყულაბის ანგარიშზე ნებისმიერი ოდენობის თანხა.

„რაიონული ყულაბა თელავი-88“-ის წევრს უფლება აქვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ყულაბის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობაში. აირჩიოს ან თვითონ იქნეს არჩეული ამ ორგანოებში. სურვილისამებრ გავიდეს ყულაბის წევრთა შემადგენლობიდან.

„რაიონული ყულაბა თელავი-88-“ის წევრი ვალდებულია, ასრულებდეს ორგანიზაციის დებულებას, აქტიურად მონაწილეობდეს საქველმოქმედო ორგანიზაციის საქმიანობაში მისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. აქტიურად გამოვიდეს ცალკეულ პირთა და ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომელთა მოქმედება ნებით თუ უნებლიედ ზიანს აყენებს და ხელს უშლის საქველმოქმედო ორგანიზაციის ამოცანებისა და მიზნების შესრულებას.

### III. „რაიონული ყულაბა თელავი-88“-ის ხელმძღვანელი ორგანოები

**საქველმოქმედო** ორგანიზაცია „რაიონული ყულაბა თელავი-88“-ის ხელმძღვანელი ორგანოებია ორგანიზაციის საერთო კრება (კონფერენცია), გამგეობა და გამგეობის პრეზიდიუმი.

საქველმოქმედო ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ორგანიზაციის კონფერენცია, რომელსაც ხუთ წელიწადში ერთხელ იწვევს ყულაბის გამგეობა. ამავე კონფერენციაზე ხდება ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირთა არჩევნები. საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელი ორგანოების ოპერატიულ გადარჩევებთან დაკავშირებით შეიძლება მოწვეულ იქნას რიგგარეშე კონფერენცია საანგარიშო პერიოდის ნებისმიერ დროს.

კონფერენციიდან კონფერენციამდე საქველმოქმედო ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებს გამგეობის, პრეზიდიუმის სხდომებისა და საერთო კრების მეშვეობით.

ყულაბის წევრთა საერთო კრება მოიწვევა ექვს თვეში ერთხელ, ხოლო პრეზიდიუმის სხდომები — ყოველთვიურად.

„რაიონული ყულაბა თელავი-88“-ის გამგეობა ყოველი წლის ბოლოს ანგარიშს აბარებს თავის წევრებს ყულაბის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. რაიონული ორგანიზაციის საერთო კრების გადაწყვეტილება წარმოადგენს იურიდიულ საფუძველს ყულაბის ფინანსური საქმიანობისათვის.

### IV. საქველმოქმედო ორგანიზაცია „რაიონული ყულაბა თელავი-88“-ის სახსრები

**„რაიონული** ყულაბა თელავი-88“-ის ფინანსური სახსრები იქმნება მოქალაქეთა და წარმოება-დაწესებულებათა შრომითი კოლექტივების ნებაყოფლობითი გაწევრიანების პრინციპით და საწევრო შენატანით თვეში ერთი მანეთის ოდენობით. თანახმად პირადი განცხადებისა, გაწევრიანების მსურველ პირს აღნიშნული თანხა დაექვითება ხელფასის უწყისში. საწარმოებში და ორგანიზაციებში ასეთი წესით დაკავებული თანხები ბუღალტერიის მიერ ჩარიცხული იქნება შემნახველ ბანკში გახსნილ სპეციალურ ანგარიშსწორების ანგარიშზე.

„რაიონული ყულაბა თელავი-88“-ის ფინანსური სახსრები შეიძლება გაიზარდოს შემნახველ ბანკში მოქმედი წესის საფუძველზე სხვადასხვა ფინანსური ოპერაციების განხორციელების გზით, სერტიპიკატებისა და ობლიგაციების შეძენა, ლატარიის გათამაშება და სხვა.

### V. საქველმოქმედო ორგანიზაცია „რაიონული ყულაბა თელავი-88“-ის უფლებები:

**საქველმოქმედო** ორგანიზაციას უფლება აქვს გახარჯოს ყულაბის ანგარიშზე შემოსული თანხები მხოლოდ ყულაბის წევრთა უმრავლესობის თანხმობით. გასახარჯი თანხის საჯარო განხილვის საფუძველზე, რისთვისაც ვალდებულია იქონიოს სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ხარჯთაღრიცხვა, პროექტი და საერთო კრების გადაწყვეტილება).

ორგანიზაციას უფლება ეძლევა განახორციელოს ფართო მასშტაბის სამშენებლო და საქველმოქმედო ღონისძიებები როგორც რაიონში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

საქველმოქმედო ორგანიზაციის დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბების მიზნით, პროცენტის სახით დარიცხული მოგების თანხებიდან უფლება მიეცეს ყულაბის რაიონულ გამგეობას დაამტკიცოს სხვადასხვა თანამდებობრივი საშტატო ერთეულები და განახორციელოს კონტროლი ამ შტატებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაზე.

„რაიონულ ყულაბა თელავი-88“-ს, როგორც იურიდიული უფლებისმქონე ორგანიზაციას, სხვადასხვა ორგანიზაციებთან მიმოწერისა და ფინანსური ურთიერთობის უზრუნველყოფისათვის უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი შტამპი და ბეჭედი ორგანიზაციის მიმანიშნებელი დასახელებით: „რაიონული ყულაბა თელავი-88“.

საქველმოქმედო ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ემბლემა, რომლის დევიზი იქნება: **„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.**

### VI. „რაიონული ყულაბა თელავი-88“-ის ძირითადი ფონდები (ქონება) და ლიკვიდაციის წესი

**„რაიონული** ყულაბა თელავი-88“-ის ძირითადი ფონდებია: ყულაბის სახსრებით აგებული ფიზკულტურულ-სპორტული და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები, სათანადო ინვენტარ-მოწყობილობა და სხვა ფასეულობანი.

საქველმოქმედო ორგანიზაციის ლიკვიდაციის საკითხს წყვეტს ყულაბის წევრთა უმრავლესობა და ამ ორგანიზაციის მიერ მოწვეული კონფერენცია.

ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემდგომ დარჩენილი ქონების გამოყენება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის უშუალო განკარგულებით.

საქველმოქმედო ორგანიზაცია „რაიონული ყულაბა თელავი-88“-ის გამგეობის ადგილსამყოფელია ქ. თელავი, სპორტკომიტეტი, ალაზნის გამზირი № 5.



**კრივს** დღეს ჩვენს რესპუბლიკაში აღორძინების გზაზე დამდგარ სპორტის სახეობათა გვერდით მოიხსენიებენ. პერსპექტივის რეალურ საფუძველს იძლევა ის ზრუნვა, რასაც ამ სპორტის სახეობისადმი იჩენენ სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ახალი წლის წინ, სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, მწყობრში ჩადგა სპორტკლუბ „სინათლის“ კრივის დარბაზი. ახლა აქ ხალისით მეცადინეობენ ნორჩები. დარბაზში ყველა პირობებია შექმნილი, რომ საწვრთნელი ვარჯიშები მაღალ დონეზე ჩატარდეს.

სურათი, რომელსაც აქვე გთავაზობთ, სწორედ ამ დარბაზშია გადაღებული. წარსულში ცნობილი მოკრივე ზაურ კოზაევი მონდომებითავარჯიშებს შეგირდებს.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

წლის მონაგარი — რეგბი

# წარმატებებიც, პრობლემებიც

**ქართველ** რეგბისტთა 1988 წლის მონაგარს თუ გადავავლებთ თვალს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქამდე ჩვენს რეგბის ესოდენ დიდი წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევია. მართალია, წარმატებები სამომავლოდაც იმედიანად განაწყობს გულშემატკივარს, მაგრამ ახალი გამარჯვებების გარანტიად ნამდვილად არ კმარა. ამიტომ, მოდით, კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ რეგბის მდგომარეობა ჩვენთან და ამ სახეობის შემდგომი წინსვლის ფაქტორებზეც ვიფიქროთ.

ჯერ წარმატებების შესახებ. ქუთაისის „მშენებლის“ ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, ქართული სპორტის დიდი გამარჯვებაა. გუნდი, რომელიც ამ ათიოდე წლის წინ გამოჩნდა საკავშირო ასპარეზზე, ბოლო წლებში საბჭოთა რეგბის აღიარებულ ლიდერად იქცა. ამასთან, რაც დრო გადის, ქუთაისელები სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან, გამოცდილებას იძენენ, სახელს იხვეჭენ და ერთ დროს მრისხანე მეტოქეებს, უდავო ოსტატობის გარდა, თავიანთი ავტორიტეტითაც კი თრგუნავენ.

როგორც იქნა, თბილისის რკინიგზელთა გუნდმაც დააღწია თავი ხანგრძლივ ჩავარდნას. მართალია, მის მიერ დაკავებული მეშვიდე ადგილი, ქუთაისელთა ორგზის ჩემპიონობასთან შედარებით, ვერაფერი შედეგია, მაგრამ ცნობილ მიზეზთა გამო, თბილისელთა გასაკილავად ენა არავის მოუბრუნდება. პირიქით, გუნდის ქომაგებს ძალზე ახარებთ ის ამბავი, რომ „ელმავალმა“ ძველებურად ლამაზად და შინაარსიანად დაიწყო თამაში.

უდაო წარმატებაა თბილისელ არმიელთა ახალგაზრდული გუნდის პირველ ლიგაში შემოსვლა. ეს ხომ იმის გარანტიაცაა, რომ ჯარში გაწვეული ქართველი რეგბისტები აქტიურ სპორტს დროებით აღარ ჩამოშორდებიან. გაგვახარა ნორჩი რეგბისტების გამარჯვებებმაც. თბილისელმა მოზარდებმა — „ლელოსა“ და „შევარდენის“ გუნდებმა პრესტიჟულ საკავშირო შეჯიბრებებში კვლავ პირველი ადგილები დაიკავეს. სეზონი კი თავად ქართველ რეგბისტთა თაოსნობით დაწყებული ახალი შეჯიბრების — „თბილისობის შვიდკაცას“ გამართვით დასრულდა. ეს მართლაც სასიამოვნო სიახლე იყო.

ახლა ჩვენი რეგბისტების საერთაშორისო მონაგარიც მივითვალოთ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებს ასე ძლიერად აქამდე არასოდეს უასპარეზია. მან ხომ ფირას ჩემპიონატში გამართული ხუთივე მატჩი მოიგო: შინ სძლია ესპანეთის, საფრანგეთის („ბ“) და რუმინეთის გუნდებს, სტუმრად — იტალიისა და ესპანეთის ნაკრებებს. ნაკრებმა რიგიანად იასპარეზა არგენტინულ ტურნეშიც, მოსკოვში გამართულ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშებაში კი აჯობა აშშ-ისა და რუმინეთის გუნდებს. რაც შეეხება სტუდენტურ ნაკრებს, საფრანგეთში გამართულ მსოფლიო უნივერსიადაზე მან მომავალ ჩემპიონს — ახალი ზელანდიის გუნდს მოუგო, საბოლოოდ კი ფრიად საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავი და ფრიად სასიხარულოა,

იხ. მე-4 გვ.

ქართული ტერმინოლოგიისთვის

# კეტბურთი სჯობია!

**გიორგი** მერკვილაძის თაოსნობა დიდი ამაგი დასდო ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შექმნა-დანერგვის საქმეს, მათი მემკვიდრეთა ვალია კვლავაც გულისყურითა და რუდუნებით განაგრძონ წარმატებით განხორციელებული წამოწყება. კერძოდ, ყოველი ახალდანერგილი სახეობა სპორტისა ქართულ ნიადაგზე უნდა პოულობდეს ტერმინოლოგიურ ადექვატს.

ჩვენი საუბარი შეეხება ბეისბოლს. ამერიკელთათვის მშობლიური სახეობა, როგორც ვიცით, ოლიმპიადის პროგრამაშია შეტანილი, ამიტომ იგი უფრო სწრაფად და საფუძვლიანად უნდა იქნეს კულტივირებული ჩვენს რესპუბლიკაში. კარგია, რომ გაზეთმა „ლელომ“ წამოიწყო საუბარი ბეისბოლის ქართული სახელწოდების შესახებ.

იყო წინადადებანი მას დარქმეოდა ბაზბურთი, ტაფელბურთი, როკბურთი, კეტბურთი... მკითხველთა მონაწილეობა ამგვარ ღონისძიებაში ერთხელ კიდევ ადასტურებს ეროვნული ტერმინის დანერგვის აუცილებლობას.

დასახელებულ სიტყვათაგან სავსებით მხარს ვუჭერთ კეტბურთს, რადგანაც, ჩვენი აზრით, იგი ძირითადად შეესაბამება სპორტის ამ სახეობის შინაარსს, თანაც ბუნებრივად დგება აღიარებული ტერმინების — ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, ჩოგბურთისა და სხვათა რიგში.

მაშ, გაუმარჯოს კეტბურთს!

**ბურამ ფანჯიკიძე, რევაზ ჯაფარიძე, გრიგოლ რუხაია, ამირან კალაძე.**

# თბილისის სპორტკომიტეტი იწვევს ნორჩებს...

**დაიდგა** მოსწავლეთა ზამთრის არდადეგები. თბილისის სპორტკომიტეტს დაგეგმილი აქვს ქალაქში დარჩენილი ბავშვებისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარება. ნორჩებს დაეთმობათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სპორტული სკოლების სპორტული ბაზები. ღონისძიებები დაგეგმილია დედაქალაქის ათივე რაიონში. პროგრამაშია: კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი, ბადმინტონი, მინიფეხბურთი, ჭადრაკი, შაში, მოძრავი თამაშები, „მხიარული სტარტები“, ტურისტული ლაშქრობები.

შეჯიბრებები ყველგან დილის 10 საათიდან დაიწყება. „ლელოს“ კორესპონდენტები დროდადრო მოგითხრობთ ამ ღონისძიებების მიმდინარეობაზე.

# სპორტული იანვარი

**1-12. ფეხბურთი.** ვ. მარღანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო შეჯიბრება. **სოხუმი.**

**2-8. ხელბურთი.** 1973-74 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობის წინასწარი მატჩები. **თბილისი.**

**2-12. სამთო-სათხილამურო სპორტი.** საქართველოს პირველობა 1974-77 წლებში დაბადებულ ვაჟთა და გოგონათა შორის. **გუდაური.**

**3-7. ძიუდო.** საქართველოს ჩემპიონატი (ვაჟები). **თბილისი.**

**3-10. მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს პირველობა 1974 და შემდგომ წლებში დაბადებულ ვაჟთა და გოგონათა შორის. **თელავი.**

**5-8. კლასიკური ჭიდაობა.** 1971-72 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობის ზონალური ტურნირი. **ქუთაისი.**

**5-9. სამბო.** საქართველოს პირველობა 1972-74 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ხობი.**

**5-9. სპორტული ორიენტირება.** რესპუბლიკური შეჯიბრება. **ბაკურიანი.**

**9-10. მძლეოსნობა.** საქართველოს ჩემპიონატი და საკავშირო თასის გათამაშების (დარბაზში) ზონალური შეჯიბრება 1971 წელს დაბადებულ და უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის. **თბილისი.**

**13-15. ციგაობა ბუნებრივ ტრასებზე.** საქართველოს პირველობა. **ბაკურიანი.**

**13-15. მძლეოსნობა.** საქართველოს პირველობა 1970-75 წლებში დაბადებულ გოგონათა და ვაჟთა შორის. **თბილისი.**

**13-22. სამთო-სათხილამურო სპორტი.** საქართველოს პირველობა 1971-73 წლებში დაბადებულ გოგონათა და ვაჟთა შორის. **გუდაური.**

**15-18. ძიუდო.** საქართველოს ჩემპიონატი (ქალები). **გორი.**

**16-21. მშვილდოსნობა.** საქართველოს ჩემპიონატი (დარბაზში). **თბილისი.**

**16-22. წყალში ხტომა.** საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი. **თბილისი.**

**16-22. საგზატკეცილო ველორბოლა.** საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი. **გაგრა, გუდაუთა.**

**18-21. სინქრონული ცურვა.** საქართველოს პირველობა 1975 და შემდგომ წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. **თბილისი.**

**18-23. სათხილამურო სპორტი** — ფრისტაილი. საქართველოს პირველობა. **ბაკურიანი.**

**19-22. სპორტული ორიენტირება.** საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი. **თეთრი წყარო.**

**20-22. აკადემიური ნიჩბოსნობა.** რესპუბლიკური შეჯიბრება სპეციალობასა და საერთო ფიზიკურ მომზადებაში. **ფოთი.**

**20-22. მძლეოსნობა.** საქართველოს ახალგაზრდული პირველობა. **თბილისი.**

**23-24. სათხილამურო სპორტი** — რბოლები. საკავშირო შეჯიბრება „ბაკურიანის პრიზზე“.

**23-29. მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს პირველობა 1976 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ბათუმი.**

**25-29. თავისუფალი ჭიდაობა.** თბილისის საერთაშორისო ტურნირი.

**26-29. ძალოსნობა და სიმძიმეების აწევა.** საქართველოს პირველობა 1969 და შემდგომ წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ცხინვალი.**

**25.I—17.II. ჭადრაკი.** საკავშირო პირველობა. მონაწილეთა ასაკი — 1963-71 წლებში დაბადებულნი. **თბილისი.**

**26.I—8.II ჭადრაკი.** რესპუბლიკური მასობრივი შესარჩევი შეჯიბრება. **სამტრედია.**

**28.I—16.II. ჭადრაკი.** საქართველოს ჩემპიონატი (ქალები). ნახევარფინალი. **გორი.**

**30.I—2.II. კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს ღია პირველობა 1969 და შემდგომ წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

**30.I—18.II. ჭადრაკი.** საქართველოს ჩემპიონატი (ქალები). ნახევარფინალი. **წყალტუბო.**

**31.I—5.II. კრივი.** საქართველოს პირველობა 1973-74 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ქუთაისი.**

# ფიზკულტურის ინსტიტუტის თასზე

**რიგაში** ჩატარდა ლატვიის სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გუნდთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების 20 გუნდის 158 მოჭიდავე. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გუნდურ ჩათვლაში IV ადგილზე გამოვიდნენ. პირად პირველობაში გაიმარჯვა მალხაზ როზომაშვილმა (82 კგ), III ადგილზე გამოვიდა რამაზ ბუზარიაშვილი (90 კგ), მძიმე წონაში შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს ვალერი გოქაძემ და ალიკო ხუბულურმა.

დაზარალებულთა დასახმარებლად

# ჰუმანური აქცია

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის მისამართზე ცნობა მოვიდა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის შტაბ-ბინიდან, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ ორგანიზაციამ სომხეთში მომხდარი მიწისძვრისაგან დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად გადარიცხა 200 ათასი შვეიცარიული ფრანკი. გარდა ამისა, კიდევ 200 ათასი შვეიცარიული ფრანკი გადაირიცხება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფონდში.

უეფა-ს შეწირულებათა თანხა მოხმარდება მიწისძვრისგან დაზარალებულ ოჯახებს და დაზიანებული საფეხბურთო ბაზების აღდგენის ფონდს.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ და სომხეთის სსრ ფეხბურთის ფედერაციამ ამ ჰუმანური აქტისთვის გულითადი მადლობა გადაუხადა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირს. ამავე დროს, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრებმა პირადი დანაზოგიდან 2 ათასი მანეთი გადარიცხეს დაზარალებულთა დასახმარებლად. მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა ამავე მიზნით გაიღეს 1350 მანეთი.

# „შევარდენის“ წვლილი

**საქართველოს** სპორტული საზოგადოებრიობა კვლავ დახმარების მეგობრულ ხელს უწვდის სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებულთ.

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანასთან არსებულმა პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლის „შევარდენის“ კოლექტივმა თავისი წვლილი გაიღო და მოძმე სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხა 800 მანეთი.

# შარშანდელი წარმატება გაიმეორეს

**დამთავრდა** თბილისის პირველობა 1975 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქალაქის სპორტული სკოლების 16 გუნდი.

ჩემპიონის ვინაობა გაირკვა ბოლო მატჩში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კოლექტივები: „დინამო-1“ და „დინამო-2“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა დინამოელთა მეორე გუნდმა, აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ კოლექტივის ნორჩმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს პირველი ადგილი შარშანაც (სკოლის დირექტორი ო. უშვერიძე, მწვრთნელი ა. ჯინჭარაძე).



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის ჩემპიონი „ნორჩი დინამოელის“ მეორე გუნდი.

## ფეხბურთის ამბები

⊙ **მოსკოვის** „სპარტაკის“ ფეხბურთელები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბრემენში იმყოფებიან, სადაც მონაწილეობენ მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში. სპარტაკელებმა ანგარიშით 7:2 დაამარცხეს ზამბიის ნაკრები, მოუგეს დრეზდენის „დინამოს“ — 7:1, მერე კი თვით დამარცხდნენ ბრემენის „ვერდერთან“ — 3:5. ამ გუნდების გარდა ტურნირში მონაწილეობს დასავლეთ ბერლინის კლუბი „ბლაუ-ვაის 90“.

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (დრეზდენი) და „ბლაუ-ვაისი 90“ — „ვერდერი“.

⊙ **ბულგარეთის** დედაქალაქ სოფიის „საფესტივალოს“ სპორტულ დარბაზში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში. ტურნირი მიმდინარეობდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის იმ წესებით, რომელთა მიხედვითაც 1989 წელს ჰოლანდიაში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი. თამაშების რეგლამენტია ორი ტაიმი 25-25 წუთის ხანგრძლივობით, მოთამაშეთა რაოდენობა 5-5.

მოსკოვის დინამოელებმა ანგარიშით 5:2 დაამარცხეს ბულგარეთის „სლივენი“, შემდეგ, ასეთივე ანგარიშით, სოფიის „აკადემიკი“, ფრედ დაამთავრეს თამაში ვარნის „ჩერნო მორესთან“ — 4:4 და სტარა ზაგორას „ბეროესთან“ — 1:1, რის შემდეგ ანგარიშით 11:1 მოუგეს ქ. პერნიკის „მინიორს“. ბოლო შეხვედრა დინამოელებს სოფიის „ლოკომოტივთან“ ჰქონდათ. აქ მოპოვებულმა გამარჯვებამ (6:2) გუნდს მხოლოდ მესამე ადგილი მოუტანა. პირველი პრიზი მოიპოვა სოფიის „ვიტოშამ“, რომელმაც ფინალში ანგარიშით 7:3 დაამარცხა „ჩერნო მორე“.

## უცხოელ მწვრთნელებს ამჯობინებენ

ესპანეთის პირველი ლიგის 20 საფეხბურთო კლუბის სულ ცოტა ნახევარს მაინც უცხოელი მწვრთნელი ჰყავს. აი, ის სპეციალისტები, რომლებიც გუნდებს სათავეში 1988-89 წლის სეზონიდან ჩაუდგნენ: კრუიფმა (ჰოლანდია) მუშაობა დაიწყო „ბარსელონაში“, ანტიჩმა (იუგოსლავია) — „რეალში“ (სარაგოსა), ზენეკოვიჩმა (ავსტრია) — „კადისში“, ესპერაგომ (ურუგვაი) — „ვალენსიაში“, დუნაიმ (უნგრეთი) — „მურსიაში“.

## ისევ მეზეი

დიერდ მეზეი, რომელიც 1983-86 წლებში სათავეში ედგა უნგრეთის ნაკრებს და ამას წინათ დაუბრუნდა ამ გუნდს, ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურების აზრით, შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას. ნაკრების უპირველეს ამოცანად მიმომხილველებს მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ფინალის საგზურის მოპოვება მიაჩნიათ. მეზეიმ ამ პოსტზე ლასლო ბალინტი შეცვალა, რომელიც 1987 წლის დეკემბრიდან მოყოლებული დროებით ხელმძღვანელობდა ნაკრებს.

## ბოლო 5 სეზონი

უეფა-მ გამოაქვეყნა ქვეყნების თავისებური „რანგ-ლისტი“ ბოლო 5 სეზონში სამივე ევროპულ ტურნირში (ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასები) მოპოვებული შედეგების მიხედვით.

1. იტალია (41.082 ქულა), 2. სსრ კავშირი (37.550), 3. გფრ (36.165), 4. ესპანეთი (34.799), 5. ბელგია (31.800), 6. პორტუგალია (28.183), 7. შოტლანდია (27.000), 8. ჰოლანდია (26.633), 9. ავსტრია (26.500),



10-11. იუგოსლავია და საფრანგეთი (23.000), 12. ინგლისი (22.094) და ა. შ.

## დარეკა 40 ათასმა (!) გულშემატკივარმა

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ „პსვ ეინდჰოვენის“ ხელმძღვანელობამ პრესის საშუალებით გულშემატკივრებს აცნობა, რომ მათ შეუძლიათ ამა და ამ ნომრით ტელეფონით დარეკვა და გუნდთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მოთათბირება.

ეს იდეა იმდენად პოპულარული გახდა, რომ უკვე პირველივე დღეებში „პსვ ეინდჰოვენის“ ხელმძღვანელობას დაურეკა და თავისი აზრი შესთავაზა... 40 ათასმა (!) გულშემატკივარმა.

## ფეხბურთელმა ფეხბურთელს უჩივლა

ბელგიის ცნობილ პროფესიულ საფეხბურთო კლუბში თამაშობდა ესპანელი ფეხბურთელი ხუან ლოზანო. ამას წინათ, მან ბრიუსელის სასამართლოში უჩივლა „ვარეგემის“ მცველს ევან დესლოვეერს. ხ. ლოზანო საჩივარში აღნიშნავს, რომ ამ ორი გუნდის შეხვედრისას 1987 წლის 11 აპრილს ე. დესალოვეერმა მას განზრახ მიაყენა მძიმე ტრავმა და ფეხი მოტეხა. მას შემდეგ ხ. ლოზანო მინდორზე აღარ გამოსულა და, როგორც ექიმებს მიაჩნიათ, აწიც ვეღარ ითამაშებს ფეხბურთს.

— დარწმუნებული ვარ, რომ დესლოვეერმა საგანგებო ილეთი გამოიყენა ჩემს წინააღმდეგ, მას შემდეგ რვა ოპერაცია გამიკეთეს და სულ ამაოდ. მე ფეხბურთში დაბრუნების იმედი აღარა მაქვს, ამიტომაც მივმართე სასამართლოს. — განაცხადა ხ. ლოზანომ.

იმ მატჩში ე. დესლოვეერი მინდვრიდან გააძევეს.

## ერთი წლით ათხოვეს

იტალიის „ნაპოლისა“ და ამ ქვეყნის ნაკრების ცნობილი ფეხბურთელი სალვატორე ბანი მისმა კლუბმა ერთი წლით ათხოვა პირველი ლიგის მეორე კლუბ „ბოლონიას“.

## ვილარი — ახალი პრეზიდენტი

ბილბაოს „ატლეტიკის“ ყოფილი ფეხბურთელი ანხელ მარია ვილარი არჩეულია ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად.

## უცხოელებს არ იწვევენ

ახლა, როცა ესპანეთის პირველი ლიგის კლუბები სავსეა უცხოელი ფეხბურთელებით, ორად-ორი გუნდი რჩება, რომლებიც, ტრადიციის თანახმად, საზღვარგარეთიდან არავის იწვევენ. ესენია ბასკების კლუბები „ატლეტიკო“ (ბილბაო) და „რეალ-სოსიედადი“ (სან-სებასტიანი).

## ხნაიბერი ფეხბურთელი

33 წლის იტალიელი ფეხბურთელი ალესანდრო ალტობელი, როგორც ჩანს, მალე დაანებებს თავს ფეხბურთს. მომავალი ცხოვრების უკეთ მოწყობის მიზნით ტურინის „იუვენტუსის“ მოთამაშემ შეიძინა... რესტორანი.

როგორც ჟურნალისტები ხუმრობენ, ალტობელიმ აქაც ზუსტად მოარტყა მიზანს.

# სტუმრად პროფესიონალებთან

გრძელდება ცსკა-სა და რიგის „დინამოს“ ჰოკეისტთა ტურნე კანადასა და აშშ-ში.

**ნიუ-იორკი.** მოსკოვის არმიელების მომდევნო მეტოქე ამ საახალწლო ტურნეში ნხლ-ს ლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერი „ნიუ-იორკ აილენდერსი“ გახლდათ. შეხვედრა მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:2 (1:0, 1:1, 1:1), შაიბები გაიტანეს: მაკაროვმა, ბიკოვმა და კრუტოვმა (სსრ კავშირი), ლაფონტენმა და ფლეტლიმ (აშშ).

**ედმონტონი.** რიგის „დინამო“ ამ დროს კანადაში ალბერტას პროვინციის დედაქალაქში თამაშობდა „ედმონტონ ოლერსთან“ და დამარცხდა — 1:2 (0:1, 0:0, 1:1).

ანგარიში გახსნა ფინელმა იარი კურიმ, მეორე პერიოდში შაიბის გატანა ვერც ერთმა კლუბმა ვერ შესძლო. მესამე პერიოდში მარკ მესერმა ანგარიში ორამდე გაზარდა, შეხვედრის მიწურულს კი ჰარი ვიტოლინშმა ერთი შაიბა გააქვითა მხოლოდ.

# კალათბურთის სიახლენი

**პარიზი.** აქ დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საშობაო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები თავისი სამი წამყვანი მოთამაშის (საბონისი, მარჩიულიონისი, კურტინაიტისი) გარეშე. როგორც ვიუწყებოდით, პირველ ტურში საბჭოთა გუნდი დამარცხდა მასპინძლებთან და მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. აქ მისი მეტოქე იყო სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი — იუგოსლავიის ნაკრები, რომელმაც სასტარტო მატჩში ასევე მარცხი იწვნია ისრაელის კალათბურთელთაგან.

საბჭოთა და იუგოსლავიის გუნდების პრინციპულ ორთაბრძოლაში ჩვენმა სპორტსმენებმა იმარჯვეს — 109:103 (52:51) და მესამე ადგილი დაიკავეს. ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ ხომიჩუსი (17), ვოლკოვი (16), ტარაკანოვი (15), იუგოსლაველთა შორის კი პასპალი (38).

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ფინალური მატჩიც, რომლის პირველი ტაიმი ფრანგებმა მოიგეს (52:45), ძირითადი დრო კი ფრედ (94:94) დამთავრდა. დამატებით ხუთ წუთში გამარჯვება ისრაელის კალათბურთელებს ხვდათ — 100:98.

საბჭოთა კავშირის ნაკრები პარიზიდან ლონდონს გაემგზავრა, სადაც კიდევ ერთ საახალწლო ტურნირში გამოვა (31 დეკემბერი — 2 იანვარი).

# წარმატებებიც, პრობლემებიც

(დასასრული)

რომ პირველ გუნდში ოთხი, ხოლო სტუდენტურ ნაკრებში შვიდი ქართველი რეგბისტი თამაშობდა. მათგან საუკეთესო, რაღა თქმა უნდა, ქუთაისელი მცველი ნუგზარ ძაგნიძე იყო, რომელმაც ყველა ზემოჩამოთვლილ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და ფეხით თამაშში გაწაფულობით პირდაპირ განაცვიფრა მრავალსმნახველი უცხოელი მაყურებელი.

ამდენი წარმატებით გახარებულებს შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ რეგბიში ყველაფერი მოწესრიგებული გვაქვს და რეგბისტებს პრობლემები აღარ აწუხებთ. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ავიღოთ თუნდაც საქართველოს ჩემპიონატი — იგი როგორღაც შეუმჩნევლად, ულიმღამოდ და ქაოსურად ჩატარდა. ყოვლისმომცველი კრიზისია სტუდენტურ რეგბიშიც. უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს არათუ სხასპარეზო, სავარჯიშო მოედანიც ვერ გამოუნახავთ. რა გასაკვირია, რომ ჩვენი უპირველესი გუნდები მათგან შევსებას ვეღარ იღებენ. ვერც „შევარდენის“ წლევანდელი გამოსვლა დასტოვებს ვინმეს გულგრილს. გუნდმა, რომელიც თავიდანვე უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას ისახავდა მიზნად, საბოლოოდ მხოლოდ მოედანზე ატეხილი აყალმაყალითა და შინაური კინკლაობით „გამოიჩინა“ თავი. კიდევ კარგი, რომ სეზონის ბოლოს გატარებული ქმედითი ღონისძიებების წყალობით, „შევარდენმა“ პირველ ლიგაში საქართველოს რეგბის ფედერაციის კუთვნილი ადგილი შეგვინარჩუნა.

ასეა თუ ისე, 1989 წელს, პირველად ქართული რეგბის ისტორიაში, საკავშირო ჩემპიონატებში ჩვენი ოთხი გუნდი იასპარეზებს. ორი უმაღლეს ლიგაში გამოვა, ორიც — პირველში. როგორია უმაღლესი ლიგის წევრთა პერსპექტივა?

ქუთაისის „მშენებელი“, რაღა თქმა უნდა, კვლავ ჩემპიონობისათვის იბრძოლებს. არადა, დამდეგ ჩემპიონატში, რომელიც თავისი უხეირო კალენდრის გამო სპრინტერული მონაკვეთებისაგან შემდგარ მარათონს უფრო ემგვანება, ვიდრე გონივრულად გათვლილ შეჯიბრებას, კონკურენციაც გაიზრდება და მეტოქის მოედანზე მოგების ფასიც უთუოდ აიწევს. ეჭვილია, რსფსრ-ის უპირველესი გუნდი — კრასნოიარსკის ეტს, ბოლოდროინდელი მარცხებით გაგულისებული სსა, მოსკოვის „სლავა“ და ალმა-ათის ასკ კიდევ უფრო მოღონიერდებიან და ქუთაისელებს ჩემპიონობისათვის ფიცხელ ბრძოლას გაუმართავენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მშენებლის“ წამყვან მოთამაშეთა უმეტესობა ასაკში შევიდა, გუნდიც, ვეტერანთა ძალები რომ დაეზოგა, ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად თამაშობდა ფრთხილად, ეკონომიურად და მხოლოდ უფრო მაღალი კლასის ხარჯზე ამარცხებდა მეტოქეებს. ასე რომ, სამომავლოდ ისღა უნდა ვისურვოთ, ქუთაისელ ვეტერანებს რაც შეიძლება დიდხანს ეყოთ ძალა, მათ მხარდამხარ კი ახალგაზრდებსაც ესახელებინოთ თავი. აქვე დავძენთ: თუკი „მშენებელი“ მესამედაც გახდება ჩემპიონი, ეს ნამდვილი სპორტული გმირობა იქნება; თუ არა და, არც სხვა საპრიზო ადგილი ჩაითვლება მარცხად.

სრულიად საპირისპირო მდგომარეობაშია თბილისის „ელმავალი“. გუნდის ბირთვი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მრავალსმნახველი და გამოცდილია. კოლექტივს ხელწერაც ჩამოყალიბებული აქვს და არც პატივმოყვარეობა აკლია. ეგაა მხოლოდ, საწვრთნელი პირობები ვერა აქვს საკადრისი. მიუხედავად ამისა, ახალ სეზონში გულშემატკივრები გუნდისაგან მხოლოდ წინსვლასა და ახალ წარმატებებს მოელიან. დღესდღეობით გუნდს უკვე ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს და იმედი უნდა ვიქონიოთ, მწვრთნელების შეცვლა სათამაშო სტილის შეცვლას არ გამოიწვევს. პირიქით, გუნდი ალბათ უფრო დახვეწს ოსტატობას და მაყურებელს სანახაობრივად უფრო მიმზიდველ რეგბის უჩვენებს.

ახლა ორიოდე სიტყვა იმის შესახებაც, თუ რა უნდა გაკეთდეს ქართული რეგბის საძირკვლის მოსამაგრებლად. პირველ ყოვლისა, უნდა დამთავრდეს თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სპორტსკოლის ნორჩ რეგბისტთა სტადიონის მშენებლობა. სასურველია, შეიცვალოს საქართველოს ჩემპიონატის გამართვის წესიც: უმჯობესი იქნება, თბილისისა და დასავლეთ საქართველოს გუნდებმა საწყის ეტაპზე ცალცალკე იასპარეზონ, ფინალური შეჯიბრება კი ტურად მოეწყოს. ეს საშუალებას მოგვცემდა, თბილისის სტუდენტურ კოლექტივებს ოთხწრიანი ტურნირი გაემართათ. ამასთან, აუცილებელია ოფიციალური მატჩების გასამართავად ამ გუნდებს ფართოდ გავუღოთ „ლოკომოტივის“ სტადიონის კარები. ეს ბაზა ხომ ისედაც თბილისური რეგბის მექაა, სპორტის სხვა სახეობების შეჯიბრებებიც მრავლად იმართება აქ და რაღა სტუდენტი-რეგბისტები უნდა რჩებოდნენ „თამაშგარე მდგომარეობაში“?! რაც შეეხება წვრთნას, ამისათვის სტუდენტური გუნდები საბოლოოდ უნდა დავაფუძნოთ სტუდქალაქის სტადიონზე.

ბოლოს, ორიოდე სიტყვა რეგბის აუდიტორიაზე: რა დასამალია და, ქუთაისშიც კი, იქაური გუნდის აღზევების მიუხედავად, რეგბის მხოლოდ 4-6 ათასი მაყურებელი თუ ესწრება. ამის პირველმიზეზი უთუოდ რეკლამის ნაკლებობაა. „მშენებელი“ ამჟამად ჩვენი უწინარველესი გუნდია. მისი თამაშისა და გამარჯვებების ხილვის მსურველს კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რა გამოლევს. ჰოდა რა გამოდის: ჩვენივე უნიათობით შთამომავლობას ვერ შემოვუნახეთ ორი ისტორიული მატჩის ვიდეოჩანაწერი: პირველად — „მშენებელმა“ თასი რომ მოიპოვა; მეორედ — ჩემპიონობა. საინტერესოა, რას ვუპასუხებთ რეგბისა და საერთოდ სპორტის მომავალ გულშემატკივრებს?

**ზაგრები.** მოეწყო კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალისტთა კენჭისყრა. როგორც ცნობილია, ტურნირი ჩატარდება 20-25 ივნისს იუგოსლავიის ამ ქალაქში. რვა უძლიერესი გუნდი განაწილდა ორ ჯგუფში. სპეციალისტების აზრით, საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი პირველ ჯგუფში, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად გამოვლენ სხვა ფავორიტებიც, კერძოდ, იტალიის, ესპანეთისა და ჰოლანდიის გუნდები.

მეორე ჯგუფში გაერთიანდნენ: იუგოსლავიის, ბულგარეთის, საბერძნეთისა და საფრანგეთის კოლექტივები.

# ტარიელ ეპიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოულოდნელად გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი, თბილისის „სპარტაკის“ ოსტატთა კოლექტივის ყოფილი მოთამაშე, სკკპ წევრი ტარიელ ალექსანდრეს ძე ეპიტაშვილი.

ტ. ეპიტაშვილი 1924 წელს დაიბადა თბილისში, აქ დაიწყო ფეხბურთის თამაში ბავშვთა გუნდებში. ჭაბუკი ფეხბურთელი 1944 წელს მიიწვიეს თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ოსტატთა გუნდში, 1948 წელს კი იგი უკვე თბილისის „სპარტაკის“ იმ ფეხბურთელთა კოლექტივის წევრია, რომელიც ორი წელი უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა.

თბილისის „სპარტაკში“ ტ. ეპიტაშვილმა 1952 წლამდე დაჰყო, შემდეგ გადავიდა აჭარაში, გამოდიოდა ქობულეთის „კოლმეურნისა“ და ბათუმის „დინამოს“ კოლექტივებში. 1958 წლიდან იგი მწვრთნელად მუშაობას შეუდგა და სათავეში ჩაუდგა ქობულეთის „შუქურას“, ფეხბურთის დარგში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის ტარიელ ეპიტაშვილს 1967 წელს მიანიჭეს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ყველგან, სადაც ტარიელ ეპიტაშვილი გამოდიოდა როგორც სპორტსმენი, მუშაობდა როგორც მწვრთნელი, მას დიდ პატივს სცემდნენ კეთილი პირადი თვისებებისთვის, საქმის უანგარო სიყვარულისა და პატიოსანი, ალალი ადამიანობისთვის. მის მიერ აღზრდილი ფეხბურთელები მუდამ მადლიერების გრძნობით იხსენიებენ თავიანთ მასწავლებელს.

ტ. ეპიტაშვილის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ახლობლებისა და მეგობრების გულში.

**საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერან სპორტსმენთა რესპუბლიკური საბჭო.**

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, 52-ე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 25 დეკემბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** გაიყიდა 2 273452 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისათვის (62 ვარიანტი) მოგება 1312 მანეთია, ოთხისთვის (2051) — 57, სამისთვის (38547) — 5.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** გაიყიდა 25484107 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (33 ვარიანტი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (6205) — 210, სამისთვის (253 709) — 9.

## კალეიდოსკოპი

### ფრისტაილის ოლიმპიური აღიარება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სეულის სესიამ ფრისტაილი ოლიმპიური ოჯახის წევრად აირჩია და ალბერვილის (საფრანგეთი) 1992 წლის თეთრი ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანა, ამან აღნიშნული სახეობისადმი ინტერესი მთელს მსოფლიოში ერთიორად გაზარდა. ჯერ დადგენილი არ არის ფრისტაილის რომელ სახეობას შეიტანენ ოლიმპიურ პროგრამაში (მოგულს, ბალეტს თუ აკრობატიკას), მაგრამ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე სამივე სახეობაში გამოსვლის სურვილი უკვე ოცზე მეტი ქვეყნის (მათ შორის სსრ კავშირის) წარმომადგენლებმა გამოთქვეს.

ეს ჩემპიონატი გაიმართება 1989 წლის 27 თებერვლიდან 5 მარტამდე ბავარიის ალპების (გფრ) საკურორტო ქალაქ ჰინდელანგში. დასავლეთგერმანელებმა კარგა ხანია საქმიანი სამზადისი წამოიწყეს. ქალაქის ხელმძღვანელობამ კი გამოაცხადა, რომ ჩემპიონატის დღეებში დროებით დახურავს გართობის ყველა არასპორტულ დაწესებულებას, მათ შორის დისკო-კლუბებს, კაზინოებსა და ღამის ბარებს.

### პირველი ნაბიჯი

აშშ-ს საუნივერსიტეტო სპორტის საბჭომ გადაწყვიტა 1993 წელს ზაფხულის უნივერსიადას უმასპინძლოს და კანდიდატად ნიუ-იორკის შტატის ერთ-ერთი ქალაქი ბუფალო წამოაყენა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატები საუნივერსიტეტო სპორტის პროპაგანდის მიზნით ასეთ ნაბიჯს პირველად დგამს.

უნივერსიადის მომავალი დედაქალაქის კანდიდატურის არჩევა მოხდება 1989 წელს სან-პაულუში (ბრაზილია), ქალაქში, სადაც მომავალი შეჯიბრება უნდა გაიმართოს. 1991 წელს კი (უნივერსიადები, როგორც ცნობილია, ორ წელიწადში ერთხელ ტარდება) სტუდენტთა სპორტის მსოფლიო ფორუმს შეფილდი (ინგლისი) უმასპინძლებს.

### ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატთა შორის

როგორც იუგოსლავიის გაზეთი „პოლიტიკა“ იუწყება, ამ ქვეყნის სპორტის სამინისტროს საერთაშორისო კომისიამ გადაწყვიტა ნობელის პრემიის კანდიდატად (მშვიდობის დარგში) წამოაყენოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი). ამ გადაწყვეტილების დასაბუთებისას კომისიის თავმჯდომარემ მილან ერცეგანმა აღნიშნა: „საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც ადრე საკმაოდ კონსერვატულ ორგანიზაციად იყო ცნობილი, ბოლო წლებში პროგრესის გზას დაადგა და ცდილობს მსოფლიოს ხალხთა შორის კოოპერაციისა და ურთიერთანამშრომლობის კონტაქტები გააღრმავოს. ჩვენი გადაწყვეტილებაც სწორედ ამ სურვილებიდან გამომდინარეობს“.

### შვეიცარიული ექსპორტი

შვეიცარიელ ბობსლეისტებს, რომლებმაც თავი დაანებეს აქტიურ სპორტს, ხალისით იწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში მწრვთნელებად. წარსულში ცნობილი მესაჭეები რალფ პიპლერი და სილვიო ჯოველინი, მაგალითად, მიწვეული არიან იტალიასა და საფრანგეთში.

43 წლის ჰანს ჰილტერბრანდი სულ მალე ანალოგიური მისიით კანადას გაემგზავრება. მიწვევა მიიღო კალგარის ოლიმპიადის ჩემპიონმა ეკერჰარდ ფასერამაც, რომელსაც კანადაში ეპატიჟებიან, მაგრამ სპორტსმენს გადაწყვეტილი აქვს 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლა. შეჯიბრებას, რომელიც ფასერას მშობლიურ ქალაქ სანკტ-მორიცში ჩატარდება, იგი დიდი ხანია ელოდება.

### ექს-ჩემპიონი ბერის ანაფორაში

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჯო ფორმენმა (აშშ), მას შემდეგ რაც თავი დაანება სპორტს, ჩაიცვა ანაფორა და ბერად აღიკვეცა. დიდხანს იგი თავის მშობლიურ ქალაქ მარშალში მოღვაწეობდა.

მაგრამ, ერთ დღეს, ფორმენმა ტელევიზიით ნახა მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის მაიკ ტაისონის გამოსვლა, მოთმინება დაკარგა, გაიხადა ანაფორა და... ჩემპიონთან ბრძოლის სამზადისს შეუდგა. შვება მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, — განუცხადა მან ჟურნალისტებს, — როცა ეს გადაწყვეტილება მივიღე.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**

**(ა. წერეთლის გამზირი № 2)**

**1989 წლის 2 იანვრიდან 8 იანვრის ჩათვლით ჩატარდება საახალწლო თეატრალიზებული-სპორტული წარმოდგენები. დასაწყისი 12 საათზე.**

8 იანვარს, 13 საათზე გაიმართება ნივთების ლატარეა (1988 წლის მე-17 ტირაჟი), გათამაშდება ჟიგულის მარკის მსუბუქი ავტომანქანები. ლატარიის ბილეთები იყიდება სტადიონის სალაროებში ყოველდღე გარდა 1 იანვრისა — დილის 10 საათიდან 17 საათამდე.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-37.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 ~~7 8 9~~ 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05671